

ქულტურა

Language
and Culture

...bende. auch groß welt ynn stryt vermügende. also das die sarrac
persy. medi vnd Assirij. yr anstosser oder nach
ren. vnd wie wol dis volck vff alt syren
Bign. noch dan forchte es die selben
selben gefochtet vñ selten geleydiger. Sie
Georgio dem heiligen ritte den sie fur eyn
fürer hatten. vnd eren ynen mit groff
wan sie zu veld vñ zyeßen yn stridt. Von
usalem. vil heiliger stett yn habende. doch
vnd das loch dar yn das cruz stund yn eym
tus am cruz verschyede. By dem selben
meyntlichen eyner von den yren dar ynn
Dar zu haben sie yn gebrauch die kyrch
zu Anne des bischoffs stund. dar yn vnser
ward gefüret ꝛc. Item dise Georgiani
yn allen yren artikelen vn yrtümen
e eken als wol scismatici oder vngehorsam



...Bun. Die georgianischen edelt
gebrauch n weer yn maß wie die Amazonas
eygen kynn haben. Die menner diser
baer. vñ lassen es nümer abscheren. Vnd
von mancherley farwe. yn den gottlichen
ben sie kriechesch zungen vñ sprach. aber
sust die sarracenisck oder

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ენა
და
კულტურა**

**LANGUAGE
and
CULTURE**

ფილოლოგიური სერია
№2, 2005



თბილისი

ISSN 1513-1364

ნინო თვედორაძე

მხატვრული კომუნიკაციის დონეებრივი სტრუქტურა და შინაგანი მეტყველება

თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევის პრაქტიკაში, თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად იკვეთება ცალკეულ ფენომენთა კულტუროლოგიურ კონტექსტში აღქმის ტენდენცია. რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამ ფენომენებისადმი ვიწრო დისციპლინარული მიდგომის გადალახვას. ო.კრივცუნის თანახმად, ამგვარ ტენდენციას შეიძლება დავარქვათ ცალკეულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიერ „პერმეტიზმის გადალახვა და სხვადასხვა მხატვრულ მოვლენათა ფართო ჰუმანიტარულ პრობლემათა პრიზმით გააზრება“ (1,3).

თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ისეთ ტენდენციასთან ერთად, როგორცაა მისი **კულტუროცენტრისტული** მიმართულება, მჭიდროდაა დაკავშირებული ჰუმანიტარული აზროვნების მეორე პარადიგმული ტენდენცია — **ინტერდისციპლინარულობა**.

მხატვრულ ტექსტებში წარმოდგენილი შინაგანი მეტყველებისა და მისი ტიპოლოგიზაციის კვლევის პრობლემა ჩვენ გვხვდება ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტიკის მიჯნაზე მყოფ ისეთ ინტერდისციპლინარულ სფეროში, როგორცაა მხატვრული ტექსტის ლინგვისტურად ორიენტირებული ინტერპრეტაციის თეორია. შინაგან მეტყველებასა და, შესაბამისად, მის ყველა ტიპს, ჩვენ განვიხილავთ მხატვრული ტექსტის ფარგლებში, რაც გარდუვალად მოითხოვს ინტერდისციპლინარულ კვლევას. მოცემულ შემთხვევაში, ინტერდისციპლინარულობა გულისხმობს ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური პრობლემების ურთიერთგადაკვეთას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ფარგლებში უცილობლად უნდა გავითვალისწინოთ როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ასევე ლინგვისტიკის, უფრო კონკრეტულად, კომუნიკაციური ლინგვისტიკის მონაცემები. ხოლო კვლევის დამასრულებელ ეტაპზე მოვახდინოთ ამ მონაცემთა სინთეზირება ფართო კულტურულ კონტექსტში.

როგორც ცნობილია, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში მოქცეულია მეტყველება, რომლის ძირითად ფუნქციად გვევლინება კომუნიკაციის ცნება. „დღევანდელი ლინგვისტური კვლევა გულისხმობს, ყოველი ენობრივი ერთეული გავიგოთ, როგორც, პირველ რიგში, კომუნიკაციური ერთეული. კომუნიკაციური ასპექტი (კომუნიკაციური ფუნქცია) განმსაზღვრელი უნდა გახდეს უკლებლივ ყველა ენობრივი ერთეულის სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური კვლევისას“ (2,51-52). ასევე ცნობილია ისიც, რომ ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის უმნიშვნელოვანეს პარამეტრებს წარმოადგენენ ადრესანტი და ადრესატი (3,88). ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყოველ კომუნიკაციურ აქტში, გარდა ამ ორი კომუნიკანტისა (ადრესანტისა და ადრესატისა), გვაქვს მათ შორის ურთიერთმიმართებაც, ანუ ინტერსუბიექტურობა (2,51-52).

სანამ ჩვენ კომუნიკაციური აქტის ზოგად მოდელს მივუსადაგებთ შინაგანი მეტყველების შემცველ მხატვრულ ტექსტებში ასახულ კომუნიკაციას, აუცილებლად მიგვაჩნია აღინიშნოს შემდეგი: როდესაც საქმე გვაქვს მხატვრულ კომუნიკაციასთან, ეს უკანასკნელი შეიძლება ორ დონეზე წარმოვიდგინოთ

- 1) შიდა ტექსტურ დონეზე — ანუ, როგორც კომუნიკაცია პერსონაჟებს შორის
- 2) თვით მხატვრული დისკურსის დონეზე, ანუ როგორც კომუნიკაცია ადრესანტ ავტორსა და ადრესატ მკითხველს შორის.

ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შევეცადოთ ადეკვატური პასუხი გავცეთ კითხვაზე: რა მიმართებაშია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში შემუშავებული კომუნიკაციური აქტის მოდელი და ამ მოდელით ნაგულისხმევი ინტერსუბიექტურობა, ერთი მხრივ, შიდა ტექსტურ კომუნიკაციასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ავტორისა და მკითხველის კომუნიკაციურ კომპეტენციებთან. ხსენებულ პრობლემაში გარკვევის მიზნით მოვიყვანთ ფრაგმენტს შინაგანი მეტყველების ამსახველი ერთ-ერთი ტექსტიდან:

Good idea that. Wonder if he pays rent to the corporation. How can you own water really? It's always flowing in a stream, never the same, which in the stream of life we trace. Because life is a stream. All kind of places are good for ads. That quack doctor for the clap used to be stuck up in all the greenhouses. Never see it now. Strictly confidential. Dr Hy Franks. Didn't cost him a red like Maginni the dancing master self advertisement. Got Fellows to stick them up stick them up himself for that matter on the q.t. running in to loosen a button. Fly By night. Just the place too. POST NO BILLS. POST IIO PILLS. Some chap with a dose burning him.

If he...

O!

Eh?

No... No.

No, no. I don't believe it. He wouldn't surely?

No, no. (J. Joyce, - Ulysses, London, Penguin Books, 1960).

ჩვენს მიერ უკვე ჩატარებული კვლევისას აღვნიშნეთ, რომ შინაგანი მეტყველება თვითმიმართულ ხასიათს ატარებს. რაც იმას ნიშნავს, რომ ადრესანტი და ადრესატი ერთ პირში იყრიან თავს, და შესაბამისად ხდება მათი ინტერიორიზაცია (4,91). შინაგანი მეტყველება ჩვეულებრივი, გარეგანი მეტყველებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არ არის „გათვლილი კომუნიკაციური აქტში მონაწილეობის მისაღებად. იგი არ არის მიმართული ადრესატისადმი, რათა მას გარკვეული სახით ინფორმაცია მიაწოდოს, არამედ თვითმიმართულია“. „თუ ადრესანტი მიერ ადრესატისადმი მიმართული გარეგანი მეტყველება ისრის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც A1-A2, მაშინ შინაგანი მეტყველება ჩაკეტილ სიმრუდეს წარმოადგენს — A12. (3,166). აქედან გამომდინარე, ჩვენ მივიჩნით, რომ, ერთი მხრივ, „ჩაკეტილი“, საკუთარი „მე“-სადმი მიმართული მეტყველება ჰკარგავს ინტერსუბიექტურობის სტატუსს, ხოლო, მეორე მხრივ, რადგან ადრესატი და ადრესანტი ერთ პირში იყრიან თავს, კომუნიკაციური აქტის სტრუქტურა გარკვეული სახით მაინც შენარჩუნებულია (5,54).

შევკვიძლია თუ არა ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე პირდაპირ განვაცხადოთ, რომ შიდა ტექსტურ დონეზე პერსონაჟების შინაგანი მეტყველება არა კომუნიკაციურია, ანუ მასში დაკარგულია, (ან გარღვეულია) კომუნიკაციისათვის აუცილებელი ინტერსუბიექტური სივრცე? როგორც ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ ფრაგმენტიდან ნათლად მოჩანს, პერსონაჟის შინაგანი მეტყველება მხოლოდ საკუთარ „მე“-სადმი მიმართული. ეს კი გვაძლევს უფლებას განვაცხადოთ, რომ პერსონაჟის მეტყველება შიდა ტექსტურ დონეზე, ანუ პერსონაჟთა კომუნიკაციის დონეზე, მართლაც არ არის გათვლილი კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობის მისაღებად და მას ვერ მივუსადაგებთ კომუნიკაციური აქტის სტრუქტურას. მაგრამ, მეორე მხრივ, მოცემული ფრაგმენტიდან ასევე ნათლად მოჩანს, რომ სახეზეა, როგორც ადრესანტი — მეტყველი სუბიექტი პერსონაჟის სახით, ასევე, ადრესატიც (სხვა პერსონაჟის /პერსონაჟების სახით), რომლებიც წარმოსახვით ხასიათს ატარებენ. როგორც ცნობილია, ადრესატის იმ ტიპებს შორის, რომლებიც გამოიყოფიან კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, ასევე ფიგურირებს წარმოსახვითი ადრესატიც: „ადრესატი შეიძლება იყოს წარმოსახვითი (იგი, შესაძლოა, რეალურად არ არსებობდეს და მხოლოდ ადრესატის მიერ იყოს წარმოსახული“ (3,51). მოცემულ ფრაგმენტში ადრესანტ პერსონაჟს მის წარმოსახვით პერსონაჟთან შინაგანი დიალოგიც კი აქვს გამართული და როგორც ჩანს, ეკამათება კიდევ მას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვეძლევა იმის თქმის უფლება, რომ პერსონაჟის შინაგანი მეტყველება არ არის აბსოლუტურად

„ჩაკეტილი“, მონოსუბიექტური მეტყველება და მასზე ზეგავლენას ახდენს წარმოსახვითი ადრესატის ხატი. ეს კი სწორედ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ინტერსუბიექტურობა არ არის დაკარგული და იგი ტრანსფორმირებული, მაგრამ მაინც რეალური სახით არის წარმოდგენილი.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ფორმულირებული ეს ორივე ვარაუდი მხოლოდ ჰიპოთეზას ხასიათს ატარებს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, საბოლოო დასკვნის გამოტანა მხოლოდ ზემოთ წარმოდგენილ ფრაგმენტის დონეზე შეუძლებლად მიგვაჩნია. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ შინაგანი მეტყველება განსხვავებული ტიპებითაა წარმოდგენილი (6, 161-172). უფრო მეტიც, გადასინჯვას მოითხოვს თავად ვ.კუხარენკოს მიერ წარმოდგენილი ტიპოლოგიზაცია შინაგანი მეტყველების ამსახველ ტექსტებში, ვინაიდან როგორც ემპირიულ მასალაზე დაკვირვება გვაჩვენებს, შინაგანი მეტყველების ცალკეული ტიპები ურთიერთშედწევადობით ხასიათდებიან.

მაგრამ, ამასთანავე, ეჭვს გარეშეა ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ შიდა ტექსტურ დონეზე პერსონაჟთა კომუნიკაცია არ/ვერ ასახავს კომუნიკაციური აქტის იმ ტრადიციულ სტრუქტურას, რომელიც შემუშავებული აქვს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას. და თუკი მასში მაინც შენარჩუნებულია ინტერსუბიექტური სფერო (რასაც, როგორც აღვნიშნეთ, კვლავ სჭირდება საფუძვლიანი კვლევა), იგი, ნებისმიერ შემთხვევაში, განიცდის ტრანსფორმაციას, რაც ტექსტის რეცეპციის დონეზე მკითხველისათვის მეტად რთული აღსაქმელია.

რამდენადაც შიდა ტექსტურ დონეზე პერსონაჟთა შინაგანი მეტყველება არ ასახავს კომუნიკაციურობას, ან დარღვეული და ტრანსფორმირებული სახით წარმოგვიდგენს მას, მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციურობის ფუნქცია უნდა გამოვლინდეს გარე ტექსტურ დონეზე, რომელიც გულისხმობს ადრესანტ ავტორსა და ადრესატ მკითხველს შორის ურთიერთმიმართებას. ამ თვალსაზრისით ჩვენ მიემართავთ, ერთი მხრივ, კომუნიკაციური ლინგვისტიკის მონაცემებს, ხოლო, მეორე მხრივ, მხატვრული კომუნიკაციის იმ მოდელს, რომელიც მუშავდება თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში.

ვ.ტიუპას მონოგრაფიაში „მხატვრობის ანალიტიკა“ ნათქვამია, რომ ავტორი, ანუ დისკურსის სუბიექტი, „აზრის მანიფესტაციის კრეატიულ ფუნქციას“ ასრულებს (7, 24-25). ამდენად, მისი აზრით, მხატვრული კომუნიკაცია ორი ავტოკომუნიკაციის „რეზონანსში“ მდგომარეობს (მკითხველის და ავტორის, რეცეპციულის და კრეატიულის) (7, 28). გარდა ამ ორი კომპეტენციისა (რეცეპციულისა და კრეატიულისა), ვ.ტიუპა გამოყოფს მესამე კომპეტენციას, რომელსაც იგი რეფერენტულს უწოდებს. „მხატვრული შემოქმედება ორი ემპირიული მომენტით ხასიათდება: გარეგნულად მატერიალური ნაწარმოები (ტექსტი) და შემოქმედებისა და აქტის ფსიქიკური პროცესი“ (7, 24). აქედან გამომდინარე, მისი მიხედვით, მხატვრული კომუნიკაცია უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც შემდეგი სამი სახის კომპეტენციათა სისტემური მთლიანობა:

- 1) კრეატიული — კომუნიკაციური ინიციატივის სუბიექტი (ავტორი)
- 2) რეფერენტული — ინტენციონალური კომუნიკაციის ობიექტი (ტექსტი)
- 3) რეცეპციული — ადრესატის (მკითხველის) განუყოფელი ფიგურა

მხატვრული კომუნიკაციის ამ სამ კომპეტენციაზე ამახვილებს ყურადღებას (თუმცა განსხვავებული ცნებიტი აპარატის გამოყენებით) ლ.ჩერნიცი თავის ლიტერატურათმცოდნეობით თეორიაში. მისი აზრით, მხატვრული ტექსტი წარმოგვიდგება როგორც ავტორისა და მკითხველის ურთიერთქმედების „განსაზღვრული პროგრამის განხორციელება“ (8, 23).

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ კითხვას, თუ როგორ ხდება „განსაზღვრული პროგრამის განხორციელება“ ავტორისა და მკითხველის და თვით ტექსტის კრეატიულ-რეცეპციული კომპეტენციების ურთიერთმიმართების შედეგად, შევეცდებით ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში შემუშავებულ მხატვრული კომუნიკაციის მოდელს დაუკავშიროთ თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში შემუშავებული კომუნიკაციური აქტის მოდელი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ გარდა ორი კომუნიკანტისა (ადრესანტისა და ადრესატისა), ნებისმიერი კომუნიკაციური სიტუაცია

გულისხმობს, თუ სად, როდის, როგორ ხდება კომუნიკაცია. ამდენად, როგორც კ.დოლინინი მიიჩნევს, მეტყველება ყოველთვის არის ნაწილი უფრო ფართო ქმედებისა, რომელიც მიჰყვება განსაზღვრულ მიზანს. მისი აზრით, კომუნიკაციური სიტუაცია უნდა განვიხილოთ როგორც ქმედითი სიტუაციის შემადგენელი ნაწილი. ამავე დროს, კომუნიკაციური სიტუაცია ყოველთვის იშლება განსაზღვრულ საგნობრივ-ხდომილებრივ ფონზე, რომელშიც ჩართულია რეფერენტული სიტუაცია (რეფერენტულ სიტუაციას კი კ.დოლინინი უწოდებს იმ სიტუაციას, რომელიც გამონათქვამში აისახება). მაშასადამე, მისი მიხედვით, ეს ოთხი კომპონენტი — კომუნიკაციური სიტუაცია, ქმედითი სიტუაცია, საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი, რეფერენტული სიტუაცია — ჰქმნიან მეტყველების კომუნიკაციურ ჩარჩოს“ (3, 11). გარდა ამისა, ნებისმიერი კომუნიკაცია გულისხმობს ყოველი კომუნიკანტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, როგორიცაა სოციალური სტატუსი, სოციალური როლი, თეზაურუსი, პარტნიორის ხატი და ა.შ. (2,65).

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, იკვეთება ჩვენი კვლევისათვის მეტად საგულისხმო ორი მომენტი:

1) რეფერენტული სიტუაცია (რეფერენტული სივრცე). (ტექსტის შემთხვევაში კ.დოლინინი მიმართავს ტერმინს „რეფერენტული სივრცე“, რომელიც ტექსტში ასახულ სიტუაციათა ერთობლიობას ნიშნავს) არის ნაწილი უფრო მეტისმომცველი სიტუაციისა, რომელსაც წარმოადგენს საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი. „რეფერენტული სიტუაცია ... არის საგნობრივ-ხდომილებრივი ფონის (მაკროსიტუაციის) სეგმენტი“ (2,67). ამის საფუძველზე, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ შინაგანი მეტყველების ამსახველ ტექსტებში წარმოდგენილი რეფერენტული სივრცე, თავისთავად არის ნაწილი უფრო ფართო სიტუაციისა. როგორც ცნობილია, შინაგანი მეტყველება მთელი თავის სისრულითა და გამოვლინებით ფსიქოლოგიური პროზისთვისაა დამახასიათებელი (4,169). მასში ასახულია პერსონაჟის ფსიქიკური სამყარო. ამდენად, ამგვარ ტექსტებში ასახული რეფერენტული სივრცე ემთხვევა ფსიქიკურს, რომელსაც თან ახლავს ისეთი საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს სწორედ იმ კულტურულ პარადიგმას, რომლის ფარგლებში გვხვდება ესა თუ ის შინაგანი მეტყველების ამსახველი ტექსტი. თავად კ.დოლინინის თქმით, ისეთი დისტანციური ურთიერთობისას, როგორიცაა ავტორისა და მკითხველის ურთიერთმიმართება, მნიშვნელოვანია არა კონკრეტული საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი, არამედ ზოგადი სოციალური, პოლიტიკური და ისტორიულ-კულტურული სიტუაცია“ (6, 11-12);

2) როგორც ვნახეთ, რეფერენტული სიტუაციის არჩევა დამოკიდებულია ქმედით სიტუაციაზე, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს კომუნიკაციური სიტუაცია. ხოლო კომუნიკაციური სიტუაცია, როგორც გვანახოვს, თავის მხრივ, შეიცავს კომუნიკანტებს (ადრესანტს და ადრესატს).

გარე ტექსტური კომუნიკაციის დონეზე ჩვენ საქმე გვაქვს ადრესანტ ავტორისა და ადრესატ მკითხველის ქმედით სიტუაციასთან. მხატვრული ტექსტი მოცემულ შემთხვევაში წარმოგვიდგება როგორც ავტორის (ადრესანტის) მიერ „განსაზღვრული პროგრამის განხორციელება“ რეფერენტულ სიტუაციათა შერჩევის გზით. ხოლო, რაც შეეხება ტექსტის „ზემოქმედების პროგრამას“, ეს უკვე თავად ლ.ჩერნეცის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადრესატის (მკითხველის) აღქმის პოტენციალზე დამოკიდებული“ (8,27). ადრესატის (მკითხველის) „მოლოდინის პორიზონტი“, მისი აზრით, „შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს კულტურული მუხსიერების მასშტაბებს, ესთეტიკურ ნორმებს და ა.შ. (8,27).

ამდენად, თუ კომუნიკაციურობა იკარგება, ირღვევა ან ტრანსფორმირდება შიდა ტექსტურ დონეზე, იგი მთლიანად აღსდგება გარე ტექსტურ დონეზე, რომელიც გულისხმობს ადრესანტ ავტორის და ადრესატ მკითხველის კრეატიულ-რეცეპციული კომპეტენციების ურთიერთმიმართებას. ხოლო ადრესანტ ავტორის მიერ „ქმედითად შერჩეული“ „ინტენციონალური კომუნიკაციის ობიექტის“ (ტექსტის) ადეკვატურად აღქმა უკვე მთლიანად არის დამოკიდებული მკითხველის რეცეპციის (აღქმის) პოტენციალზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кривцун О.А. – Искусство нового времени, Санкт- Петербург, «Алетейя», 2000.
2. გ. ლებანიძე ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 1998.
3. Долинин К.А - Интерпретация текста, М., 1985.
4. ნ. თევდორაძე – ცნობიერების ნაკადი, თბილისი, 2004.
5. ნ. თევდორაძე – „ინტერსუბიექტურობის პრინციპი და შინაგანი მეტყველების ტიპოლოგიზაცია“, მან და კულტურა, #1, 2001.
6. Кухаренко В.А.- Интерпретация текста, М., «Просвещение», 1968
7. Тюпа В.И. – Аналитика художественного, М., «Лабиринт», 2001
8. Чернец.Л.В., «Адресат», Введение в литературоведение, основные понятия и термины, Москва, 1999.

Nino Tevdoradze

The Levels of Artistic Communication and Interior Speech

Summary

The article deals with the problem of communication in the framework of artistic texts.

The author emphasizes the fact that the essence of modern humanitarian thinking consists in the tendency of viewing the phenomena of humanitarian sphere in the context of cultural studies. This tendency is closely connected with another paradigmatic tendency – that of interdisciplinarity.

Taking into account the above mentioned context, we can present artistic communication on two levels:

- 1) On the intratextual level (communication between characters);
- 2) Communication between the author (addresser) and the reader (addressee)

On the intratextual level, intersubjectivity (interconnection between the addresser and addressee) undergoes a certain kind of transformation, the most vivid characteristic feature of the interior speech being that it is not intended to take part in a communicative act. It is not referred to an addressee, but carries a “self-directed” character. The author underlines the fact that the transformation of the intersubjective space cannot be revealed only on the basis of interior speech in general, but in relation with each separate type of interior speech presented by different types of characters in an artistic text.

It is pointed out that in modern humanitarian thinking, the artistic communication can be understood as the competence of the following three types:

1. Creative competence (the subject of the communicative initiative – the author);
2. Referential competence (the intentional communicative object);
3. Receptional competence (the inalienable figure of the reader)

Considering these competences in a wide cultural context, the author states the fact that both communicants – author and reader- are actual participants of artistic communication. Thus, on the level of the author’s (creative competence) and the reader’s (receptional competence) transaction, communication is fully restored.